ბორჯომჰესი
Borjomi HPP

26/11/2020 #28

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს**

მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობასთან 2018 წლის 29 ივნისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე შპს "ბორჯომჰესი" გეგმავს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. ბორჯომულაზე „ბორჯომჰესისა და პლატოჰესის კასკადის" მოწყობას. წარმოდგენილი სკოპინგის დოკუმენტაცია მომზადებულია კასკადის შემადგენელ კომპონენტზე - პლატოჰესი (დადგმული სიმძლავრე - 11,79 მგვტ).

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, მ/წ 2 ნოემბერს, კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციით მოგმართეთ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით. ხოლო, 19 ნოემბერს გამოგვეგზავნა და ამავდროულად საიტზე (www.mepa.gov.ge) განთავსდა წერილი, რომლითაც შეწყვიტეთ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მოითხოვეთ დოკუმენტის გადამუშავება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენი მ/წ 19 ნოემბრის №10949/01 წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის შესაბამისად, განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა თანახმად, წარმოგიდგენთ ამავე მუხლის მე-3 ნაწილისშესაბამისად მომზადებულ „პლატოჰესის" მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გადამუშავებულ სკოპინგის ანგარიშის პაკეტს.

დანართი:
1) სკოპინგის ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია;
2) სკოპინგის ანგარიშისა და Shp ფაილების ელექტრონული ვერსია - 1 ც. CD.

პატივისცემით,

გიორგი ქათამაძე

დირექტორი

№ 18370
"26" 11 2020
1/100 ფ.

ბარათაშვილის ქ. 8, მე-4 სართული
0105 თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 18 11 31
ელ. ფოსტა: borjomihpp@gedf.com.ge

N8, Baratashvili str. 4th floor
0105 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 18 11 31
E-mail: borjomihpp@gedf.com.ge